სახალხო გაზეთი

№ 551 პარასკევი, 16 მარტი, 1912 წ. № 551

განცხადებ ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტითრს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კვეკასიის გარ შიდებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერ[illegible] თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მუბა მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირ 4 მანეთი.

განცხადებანმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კვეკასიისრეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, ღება მხოლოდ სავეკრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის გეთდებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიკეის ქ., ს. ტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, რშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და „კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; [illegible] წერილები და კორესპონდენციები სულ არ [illegible] ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. [illegible] პარაკუბა შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების [illegible] ,ილის [illegible] საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29.

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველდღიური საპოლიტიკო და საალიტერატურო გამოცემა.

1912 წ. **სახალხო გაზეთი** 1912 წ.

ILUSTRATEGIANI DAMATEGA!

მიიღება ხელის-მოწერა

წლიური ხელის-მომწერნი (8 მ. 50 კ.) მიიღებენ სალიტერატურო კრებულს გრდემლს.

მარტიდან წლის ბოლომდე ღირს 7 მ. 50 კ.

ერთი თვით 75 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ **თვის 1 რიცხვიდან,** ხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს მიმდინარე 1912 წლისა.

ბირუის დარგაზი

პარასკევს, 16 მარტს, ქართ. სცენის მოყვარეთა წრის მიერ წარმოდგენილი იქნება

I

შიო თავადი

ისტორიული დრამა 3 მოქ., შ არაგვისპირელისა.

II

საცოლე ერთი საათით

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: კეკრიძე, მარგველაშვილი, კავთეი, ბ-ნნი: გარსევანიშვილი, გიორგობიანი, გველესიანი, გაგნიძე, თალაკრელიძე, იმერელი შვილ, კაპანაძე, მოხევე, ოგანოვი, ჩიშკარიანი, ფირაბეილი, ინაძე და სხვანი. ბილეთები ისყიდება წრმოდგენის დღეს 11 ს.-დან 2 ს.-დე და 6 ს.-დან წარმოდგენის ბოლომდე. ადგილების ფასი 20 კაპ. 50 კაპეიკამდე.

გამგე **თ. გველესიანი.** (3.1157.3) **დასაწყისს საღ. 8 საათზე.**

ქართული თეატრი

შაბათს, 17 მარტს 1912 წ. ქართულ ენაზე აიკითხავენ

ლექციას

ი. გოგმართელი, შ. ალექსი-მესხიშვილი ,, გ. ჟორდანია

„ჯეხი. ეროვრც საზოგადოებრივოგის გამოსახტულება"

I	II	III
სოციალური მხარე	**იურიდიული მხარე**	**ზნეობრივი მხარე**
გ. ჟორდანია.	**შ. ალექსი-მესხიშვილი.**	**ი. გოგმართელი.**

ლექცია დაიწყება 8 საათე. ყიდება თეატრის კასაში. ბილეთების ფასი მანეთ-ნახევრიდან 20 კ.-მდე. ბილეთ ები (3—299—2)

ახალი კლუბი

პარასკევს, 16 მარტს 192 წ.

სინემატოგრაფი ს. ი. ივანიცკაიანი დასაწყისი საღამოს ცხრის ნახევარზე.

ინემატოგრაფის შემდეგ

იაფ-ფასიანი ლოტო.

(1.1149.1)

გამოვიდა და იყიდება

ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნის მაღაზიაში

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების

სალიტერატურო კრებული

„გრდემლი"

ფასი 1 მ. 50 კ. (თ.1098.33)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ძველიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმრო, და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მკურნალობა შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგან.	**ღამბაშიძე ვ. დ.**	(ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.
	დავითიანი რ. ს.	(ყოველ დღე) 1—2.
	ქიქოძე ტ. ს.	(ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.
	მაღალაშვილი გ. გ.	(ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
	მანსვეტაშვილი ვ. მ.	(ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
	მიქელაძე შ. ა.	(ყოველ დღე) 12½—1.
	ფედოროვი ე. გ.	(ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ფსიქიატრ. ნევროლ.	**მარკევიჩი ვ. ლ.**	კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.
	მელიქიშვილი ნ. მ.	(ყოველ დღე) 10—1.
	ფირადოვი რ. ბ.	(ყოველ დღე) 12—1.
	ექიმი-ალი **ვერბიკი-ფირადოვისა ლ.**	(ყოველ დღე) 11—12.
	მელიქიშვილი ნ. მ.	(ყოველ დღე) 10—1.
	სულაკოვი ა. ი.	ყოველ დღე) 12—1.
	თიკანაძე ი. ე.	(ყოველ დღე) 1—2.
	ღამბაშიძე ვ. დ.	ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს.
	მიქელაძე შ. ა.	(ყოველ დღე) 12½—1.
	ფედოროვი ე. გ.	(ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
	გედევანიშვილი ნ. ა.	(შაბათობით) 10½—11.
	დავითიანი რ. ს.	(ყოველ დღე) 1—2.
	ათენინაანცი ნ. ა.	(ყოველ დღე) 1—2.
	ორემბოვსკი ნ. ს.	(ყოველ დღე) 2½—3.
	მუსხელიშვილი ვ. ს.	(ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.
	მზარეულიშვილი მ. ი.	(ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწობილი საკუთარი სამეკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რეაქციისათვისა 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წლ. ლით ღირს 40 მან. ოპერაციები ანესთეზიულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „ნ 0 6" **წამლ.** შეშხაპუნება. ელექტრონული წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1010—294)

შეიძლება დაკვეთა: ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ეროვნ. მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე: ილიუსტრაციით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა **ლექსები** და **ბელეტრისტული ნაწარმოები** (აგრედვე ჯერ დაბეჭდვიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto. **ფასი 8 მანეთი,** რომლის გადახდა შეიძლებამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 1 0 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს. 10% თმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან**; წერა-კითხვის სახ. წიგნის მაღაზიაში და ტფილისის კერძო სამკურნალოში (ქსენიევის ქ., № 7). ფოსტა ფული უნდა გამოიგზავნოს მხოლოდ ამ მისამართით (აგრედვე ყოველნაირი მიწერ-მოწერისთვის):

Тифлисъ, Коргановская № 20, собст. д. Д-ру Мих. Гедевани. (3—553—I)

გორის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი

სთხოვს გორის მაზრის თავად-აზნაურობას მმართველნენ მიმდინარე წლის 18 მარტს, შუადღის 12 საათზე ქალაქ **გორშ,** ჩვეულებრივ თავად-აზნაურთა სამაზრო კრებაზე დასასწრებლად სამარ სამხედრო საკრებულოს დარბაზში. იმ თავად-აზნაურებს, რომელთაცავთ საარჩევნო ცენზი და აგრედვე უფლება თავად-აზნაურთა საქმეებში ჩაწილეობის მიღებისა, კეთილ ინებონ და საამისო დამადასტურებელი სუთები წარმოადგინონ.

(2.1155.2)

საფუძვლიან გადაკეთების შემდეგ გაიხსნა ახალეპატრონთა ხელშეგადასული

კაფე-კარეზი

ქართველ თავად-აზნაურთა სახლი, სასლის ქუჩაზე.

ღია იქნება ღამის 2 საათამდე

11—1 საათ. ✦ 1—5 ს. ✦ 5—2 ს.

საუზმე—30 კ. ✦ **სადილი.** ✦ **ვახშამი**—30 კ.

ყოველ დღე: ღომი დოშით, საცივი, ხარჩო, და სხვასაგულისგულო საჭელეტები, როგორც ევროპიული, ისე აზიური. **კერძები:** ოლოდ წმინდა ერბოთი მზადდება ცნობილ მზარეულის მეთვალყურეობით. **ყასხანა გაფართოვებულია.** მივიღეთ ახალი ბ[illegible] ბოცისა. სასელებს სახლებშიაც ვაძლევთ თვიურად, დიდის შეღავათით.

(თ.—113—7)

ხონის საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების გაგეობა

ამით აუწყებს საზოგადოების პატივცემულ წევრთ, რომ მობრძანდნენ და დაესწრნენ **18 ამ თვეს, 11 საათზე, ხონის ოგიმნაზიის შენობაში წლიურ კრებაზე,** შემდეგ საგების განსახილველად:

1) განხილვა და დამტკიცება 1911 წ. ანგარიშ. 2) მოგების განაწილება 3) 1912 წ. ხარჯთ-აღრიცხვა. 4) საკუთარ შენობის აგების საკითხი. 5) არჩევნები: გამგეობის ერთი წევრისა, სამ—საბჭოი და 3) სარევიზიო კომისიისა, თავიანთი კანდიდატებით. 6) სხვ. და ს. კითხვები. (3.1137.3)

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

იყიდება შემდეგი წიგნები:

საქ. ისტორია, ვახუშტისა	2 მ. —	მოთხრობნი დ. კლდიაშვილისა	30 „
ქართლის ცხოვრება, მარ. დედ. ვარიანტი	4 „ —	ამოდის ნთდება, ვაჟასი	15 „
ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა ე. თაყ.	40 კ.	ასპინძის ომი, ი. გოგებაშვილისა	7 „
სტატისტ. ცნობები საქ. შესახებ მე-XVIII საუკ.	2 „ —	ბურჯი ერეკვნებისა, მისივე	20 „
Законы царя Вахтанга	3 „ 50 „	ერეკლე მეფე და ინგილო ქალიშვილი	5 „
ქილილა და დამანა	1 „ —	თავდადებულ. ქართველნი, მისივე	7 „
თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი	1 „ —	იავნანამ რ ჰქნა? მისივე	5 „
„ რ. ერისთავისა II ტ.	40 „	ალი, ლომეურისა	10 „
„ პუშკინისა	50 „	რობინზონ-კრუზე	30 „
ქართ. სიტყვ. ისტორია, ხახანაშვილისა	1 „ 25 „	გულივერი მოგზაურობა	30 „
რუს.-ქართ. ლექსიკონი ჩუბ.	2 „ 40 „	სვიიის გვიჯვინი, შმიდტისა	15 „
ვეფხის-ტყაოსანი,	60 „	მტრედი, მსივე	10 „
„ საუკეთესო გამოცემა	10 „ 65 „	მამის ერთგული, მისივე	15 „
ოგავ-არაკნი, ნათ. აკაკისა	50 „	ყოველის მრიდან	10 „
თორნიკე ერისთავი, აკაკისა	35 „	ფიზიკ. გეოგრაფია, იაშვილისა	20 „
ქართ. პოეტების რჩეული ლექსები	25 „	ნაწყვეტ. პოლიტ. ეკონომიიდან	50 „

ხალი წიგნები:

ეტიუდები XIX ქართ. ლიტერატ. შესახებ ტ. I, კ. აბაშიძისა 70 „
გრდემლი, სლიტ. კრებული I. 1 „ 50 „

წიგნები ფას-დადებითაც იგზავნება. **ადრესი** ტელეგრამისთვის: Тифлисъ Грамотность.

(წ.—1141—8)

დოქტორი მედიცინისა წამლოგა ჭლექისა

ბერლინის უნივერს. ბ. ბ. მეგრაბიანცი

ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა

ტუბერკულინი

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დლ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792 (თ.100—534—177)

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლოგბლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაკრებად ოთხკუთხ **საუენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანამად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1147 259)

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.--6½ საათ. კახეთის ქ., №

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩ. № 8. ტელეფონი № 695.

ვ. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ხიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

. ბა. ბოპოიი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრედვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლოგა „606"

(წლ. 1090 297)

ექიმი პ. არდაზიანი

შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სიხსლის ნაკლულება, რევმატიზმი--ქარები). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9--12. საღამოს 5--7. (25.1045.70).

გამოცდილმა

მასწავლებელმა

ჩვეულებრივად წესლაც გააგრძელა მეცადინეობა მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც საგალ, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

აგრედვე გააგრძელებს მიღებას:

სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და **მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო** და **სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამამ 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1, входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).

(თ. 1084.114)

ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ძაჯაია

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—49)

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედის ქ.,** № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—249—19)

ექიმი კბილისა ნინო რუხილაძე

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

ექიმი ე. ი. მინასიანცი

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067. (100—1117—118).

ექიმი დ. სურამში აპოლონ ლუკას ძე ტუმალაძე

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღეს. (თ.—235—22)

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი 7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—58.

ექიმი ქ. ქუთაისი. იროდიონ ამბროსის ძე ცეხანოვსკი

ღებულობს შინაგან საშარდე, სასქესო, ვენერიულ სენით და სიფილისიან ავადმყოფებს დილის 10—12 და საღ. 5—7 ს., ქარავან-სარაის და მიხაილოვის ქ. კუთხე სასტუმრო „ლონდონი". (თ.—1129—17).

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ)

ექიმი ვ. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

სახელმწიფო სათათბირო

დეპეშა.

თ-დი ვოლკონსკი თავმჯდომარეობდა.

განაგრძეს ქალაქისა და ერობათათვის კრედიტის მოწყობის კანონ-პროექტის მუხლობრივი განხილვა. რამდენიმე მუხლი მიიღეს კომისიის რედაქციითა და ფინანსთა მინისტრის თანაშემწის პოკროვსკის უმნიშვნელო შესწორებით. დიდი კამათი გამოიწვია ორმოც და მეხუთმეტე, მუხლმა. მისი ძალით კაცის ობლიგაციათა ფასი ათჯერ მეტი უნდა იყოს მხოლოდ ძირითად თანხისა, რომელიც 10 მილიონს უდრის.

შინგარიოვმა აღნიშნა, მაგ მუხლის ძალით კასას შუძლიან მხოლოდ 100 მილიონის ობლიგაციათა გამოშვება, მარტოოდენ მაგით რას უნდა გახდეს, საჭიროა 200 მილიონის ობლიგაციის გამოშვების ნება დავრთოთო.

ლერხემ უპასუხა, კადეტებს რო დავუჯეროთ, მაშინ შეიძლება ობლიგაციის ფასმა იკლოს, რაიც უფრო გვაზარალებსო.

ფინანსთა მინისტრის თანაშემწე პოკროვსკიმაც შინგარიოვს უპასუხა. ეხლა საერთოდ ქალაქებსა და ერობებს 600 მილიონზე მეტი ვალი აქვთ და წლის ბიუჯეტი კი 380 მილიონი. კასის გახსნისათანავე ვალი 800 მილიონამდე ავა. ამისათანა ვალი ბიუჯეტის 1/7 მოითხოვს პროცენტადო, რაიც ტვირთად დააწვება ისევ ქალაქებსაო. ამიტომ მინისტრის თანაშემწე მომხრეა კომისიის რედაქციისა.

ეროპკინს 100 მილიონი საკმარისად არ მიაჩნია, მაგრამ დასძენს, როდესაც დაიხარჯება ეგ ფული, მაშინ გადავშინჯოთ ხელმეორედ კანონ-პროექტიო.

შინგარიოვმა მინისტრის თანაშემწეს უპასუხა: როდესაც ქალაქებისა და ერობათა ბიუჯეტის თანობაზე ლაპარაკობთ, მხედველობაში წრევანდელი კი არა, მომავალ წლისა უნდა გქონდეთ, რადგან, უეჭველია ბიუჯეტი გაიზრდებაო.

ვლადიმეროვმა საათბირო გაიფრთხილა, კადეტებს ნურაფერს დაუჯერებთო.

მინისტრის თანაშემწე პოკროვსკიმ აღნიშნა რუსეთის დავალიანება და ამიტომ, თუ ობლიგაციების ფასი დაეც

სოფ. ზემო-გომის საპრეზიდიტო ამხანაგობის კრება

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

ამა წლის 9 მარტს სოფ. ზემო-გომში (გორის მაზრა) „გორის მაზრის მემამულეთა ამხანაგობის“ საოგომში მოხდა პირველი საზოგადო კრება ადგილობრივ საკრედიტო ამხანაგობის წევრთა.

ამ კრებას უნდა განეხილა ანგარიში წარსულ წლის მოქმედებისა. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იყო თავ. ვასილ დარიუბანის ძე ფალავანდიშვილი, მდივნად გიორგი ილიას ძე მგალობლიშვილი.

თანახმად ანგარიშისა ამხანაგობას, რომელიც მოქმედებს 1911 წლის 1 იანვრიდან და დაარსების დროს ჰყოლია 70 წევრი, წარსულ წლის განმავლობაში მიჰმატებია 435 წევრი, ისე რომ ამა წლის 1 იანვრისათვის ჰყოლია 505 წევრი, რომელთა ჰასუხის მგებლობა უდრიდა 55450 მ.; გაცემული ჰქონია 12520 მან. სესხი; შემოსავალი ჰქონია 1049 მ. 35 კ., ხოლო წმინდა მოგება შეადგენს 338 მანეთი 42 კაპ.; დანარჩენი 710 მ. 93 კ. დახარჯულა ასე: 120 მან. ჯილდოდ ამხანაგობის მოანგარიშეს, 170 მან. 45 კაპ. ამხანაგობის საკანცელარიო, საფოსტო და სხვა წვრილმან ხარჯზე, 60 მან. ბინის ქირად, ვადამდე დაბრუნებულ სესხში დაუბრუნებიათ სარგებელი 10 მან. 20 კაპ.; ნასესხებ ფულში გადაიხადა ამხანაგობამ 349 მან. 28 კაპ.; სულ 710 მ. 93 კ.

წმინდა მოგება 338 მანეთი 42 კაპ.

კრებამ გაანაწილა ასე: 150 მანეთი გადასდო ძირითად თანხად, 97 მ. 22 კაპ. სათადარიგო თანხად, ქონების დასაფარად 21 მანეთი 20 კაპ. და ამხანაგობის მსახურთ 70 მანეთი.

კრებამ დაამტკიცა ამ წლის ხარჯთაღრიცხვაც—650 მანეთი, რომლიდან 480 მანეთი ამხანაგობის მსახურთა ჯილდოდ, 60 მანეთი ბინის ქირად, საკანცელარო ხარჯები 40 მ. და გზის ხარჯად 70 მანეთი.

კრებამ დაადგინა სოფლის სახელმწიფო ბანკს კრედიტის გადიდება მოკლე ვადით 20,000 მანეთამდე და გრძელი ვადით 3000 მანეთამდე.

აირჩიეს: ხელმძღვანელ ამხანაგობის თავმჯდომარედ თავ. ვ. ე. ბაგრატიონ-დავითიშვილი, მეგობის კანდიდატად სოკრატო სტეფანეს ძე გულოვი (ვაჭარი) და ბოლიტე ფილიპეს ძე კაკალაშვილ (მეფუთიაქე).

კრება დანიშნული იყო სამუშაო დღეს; ამიტომ ხალხი ბლომად ვერ დაესწრო, მიუხედავად იმისა, რომ ამხანაგობას 505 წევრი ყავს; არც გამოცხადებული იყო ბევრი კრების დღე; ბევრმა არ კი იცოდა კრების დანიშვნის ამბავ.

სამწუხაროა, რომ კრის დღე გამგეობამ ვერ გამოიყენა შესაფერისად და კარად არ მოჰნეს ხალხში ცნობა კოოპერატიულიდეის სარგებლობისა.

ეკალი.

ისევ თელავის მმხმარებელ საზოგადოებაზე.

ყველას მოეხსენება, იმ თელავი ლარიბია რაიმე საზოგა. და საამხანაგო დაწესებულებენ. ორიოდე საზოგადოება არსებს და ისიც წლის წლობამდე ძლივგაჩანჩალებს სიცოცხლეს. რასაკვირველ ეს საზოგადოების გულცივობა ბრალია, მაგრამ ბევრი იმას გიიმ, ყოველ წლივ იძახიან—მოიტოლეტ და ერთსა და იგივე პირსა ვდება ყველა ხარჯებიო. მცხოვრეთა ფართო ნაწილი კი ამბობს, ფუ რომ ვიხდით, ისეთ საქმეს მაინ(ახმარეთ, სარგებლობა ცოტა რაკნახოთო.

ასეთი სურვილის დამაყოფილებულია ახლად დაარსები მომხმარე საზოგადოება. მისი ევრი თუ ერთ პაის შეიტენს, ერთროულად მხოლოდ 6 მანეთს გახდის. ეს ფული ვითომ გაუსესხებ ჯერ ერთი არ დაეკარგება, მეო სარგებელი ექნება წლის ბოლოდ ივიდენდის განაწილებით და ნდ ესეც არა, ამ 6 მანეთებით გნება მაღაზია, საიდამაც ფულ შემტანი და გარეშე მუშტარი მიბს კარგი ფასების საქონელს ჯლებულ ფასებში.

ცხადია, მხოლოდ ათჯ ჭაის გაყიდვით საქმე არ გარიბა. მხოლოდ მაშინ შეიძლება სა სასურველად მოეწყოს, როდე ფელავისა და კახეთის ფართოზოგადოება მიიღებს მონაწილას.

ამ ამხანაგობის სარგებლზე ყველა თანახმაა. თუმცა ამბ: ხომ იყო მაგისთანა დეპო, აიეე კასები, ყველამ ფული შეეტანა ცარიელზე დაგვტოვესო. მ. განცხადება მართალია, მაგრამ ასულთა კასები, სადაც ათ თუმტუ ებდნენ და ოცსა ჰპირდებოდნენ, აბა საიდან მისცემდნენ. იმასაც უნდა მიექცეს ყურადღება, თუ ამ კასების სათავეში ვინ ედგა. რაც შეეხება დეპოს, ნათქვამია ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მაშინ გამოჩნდებაო. რაც წინედ იყო, ეხლა ის აღარ განმეორდება, ვინაიდან მგლის შიშით ცხვარი ხომ არვის გაუწყვეტია.

4 მარტს მოხდა ამ ამხანაგობის წევრთა კრება, დაესწრო 32 წევრი. კარგა ხნის სჯა-ბაასის შემდეგ სხვა და სხვა საკითხებზე, შეუდგნენ გამგეობის არჩევას. წესდების ძალით გამგეობა 3 კაცისაგან შესდგება; მაგრამ კრებამ გადასწყვიტა კანდიდატებიც გამგეობაში შესულიყვნენ, როგორც ნამდვილი წევრნი და ამისათვის ექვსი კაცი აირჩიეს: ხმის უმეტესობით გამგეობაში მოჰყვნენ: თავ. ზ. რ. ჯავჯავაძე, დ. ბუქურაული, გ. იორდანაშვილი, ვ. პაატაშვილი, თავ. ალ. მაყაშვილი და გ. ხიზანაშვილი.

გამგეობა—კიდევ ერთხელ შეეცდება წევრების შეძენით სასურველად დაიგვირგვინოს მაღაზიის გახსნის საქმე და ეს კი თვით საზოგადოებაზეა დამყარებული.

დავიწყებული.

სასიამოვნო ამბავი

(ხაშური)

საკუთარ კერძო სასწავლებლისა და წვრილი კრედიტის დაარსების გარდა ხაშურელებმა განიზრახეს წიგნთ საცავ-სამკითხველოს დაარსებაც. ამ აზრის განსახორციელებლად მათ მიმართეს ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ სმზოგადოების მთავარ გამგეობას, დაუსახელეს ჰასუხის მგებელი პირი და სთხოვეს შუამდგომლობა სათანადო მთავრობის წინაშე. გამგეობამ აღუსრულა მათ თხოვნა და გამოითხოვა მთავრობისგან უფლების მინიჭება.

მიიღეს თუ არა უფლება ხაშურელები დაუყონებლივ შეუდგენ საქმეს: 26 თებერვალს მოახდინეს საზოგადო კრება, აირჩიეს გამგეობა, რომელიც შესდგება ხუთი კაცისაგან და მიანდეს მას სამკითხველოს მოწყობა.

არჩეულ გამგეობის პირველი კრება მოხდა 4 მარტს. გამგეობამ აირჩია თვისს შორის თავმჯომარე, მისი ამხანაგი, ხაზინდარი, მდივანი და შეუდგა მიწდობილ საქმის სისრულეში მოყვანას. გამოიწერეს საჭირო ჟურნალ-გაზეთები, დაიქირავეს სადგომი, მოიპოვეს საჭირო ავეჯეულობა და დავთრები და დაიქირავეს სამკითხველოს მეთვალ-ყურე.

რა-კი ყველაფერი მზად იყო, 11 მარტს მოიწვიეს ხალხი, გადიხადეს პარაკლისი და ოფიციალურად გახსნეს თავიანთი წიგნთ საცავ-სამკითხველო. კურთხევას ხალხი ბლომად დაესწრო. კურთხევის შემდეგ წარმოითქვა რავდენიმე შესაფერი სიტყვა. შემდეგ გაიმართა სამკითხველოს სასარგებლოდ ხელის მოწერა და დამწრე საზოგადოებამაც არ დაიშურა თავისი წვლილი ამ კეთილ და სასარგებლო დაწესებულებისთვის.

გ. წყალტუბელი.

მ. ჯანაშვილის ლექციები

ეს რამდენიმე კვირაა, მ. ჯანაშვილი კითხულობს ლექციებს სახალხო უნივერსიტეტში საისტორიო თემებზე. სამწუხაროდ პირველ ლექციას ვერ დავესწარი, რომ უფრო მთლიანი შთაბეჭდილება გამომეტანა. მოგახსენებთ ორს უკანასკნელზე:

„ქართველთა ისტორიისა და მის წყაროების საზოგადო განხილვა“, როგორც ჰხედავს მკითხველი სათაურიდან, თემა ფრიად ფართოა, შიგ რაც გინდა მოთავსდება. საუბედუროდ, მ. ჯანაშვილი სწორედ ასეც იქცევა თავის ლექციებში: იქ იპოვით ყოველგვარ ცნობას, ყველა დარგის მეცნიერებიდან, მაგრამ ყველაფერი ისეა არეული ერთმანეთში, რომ ერთს ხელმძღვანელს ძაფს ვერ იპოვით, გარდა იმისა, რომ თავიდანვე „ვიღასაც“ ეკამათება, ვიღასიც საბუთებს არღვევს, ვიღასაც უმტკიცებს საქართველოს და ქართველების სიდიადეს ძველი დროიდან აქნოპამდის. ეს უკანასკნელი იქნება სასიამოვნოც იყოს ამ ჩვენ დროს, როცა ყველა ტირილსა და ვიშს მისცემია, იქნება ფრიად საგულისხმიეროც გულგატეხილობის ხანაში, მაგრამ ამისთანა აქა-იქ ამოგლეჯილ ფაქტებს, ჯერ ერთი არავითარი მეცნიერული საფუძველი არა აქვს და, მეორეც პოპულიალური ლექციისათვისაც გამოსადეგი არ არის, რადგან მსმენელს სრულებით არა რჩება მეხსიერებაში გადაუბმელი, შეუზავებელი ცნობანი, თუნდა თვითონ ძლიერ საინტერესონი და საყურადღებონი იყვნენ. რომ ჩემი აზრი ლიტონ სიტყვად არ დამრჩეს, მოკლედ გადმოგცემთ ლექციის შინაარსს იმავე წესით, როგორც მას მ. ჯანაშვილი კითხულობდა.

მოკლე შესავლის შემდეგ (როცა სხვათა შორის ამტკიცებს, რომ სხვა და სხვა ერთა შორის დიდი ურთიერთობა არისო და ერთი-მეორეში ყოველთვის გადადიან კულტურული შეძენილობანიო) იწყობს იქიდან, რომ საბა წმინდელის მოწმობით († 532 წ.) ქართულ ენაზედ ჯერ კიდევ V საუკუნეში იყოვო თარგმნილი სამოციქულო და სახარება, მაშასადამე ენაც განვითარებული და მდიდარი. მერე ჩამოთვლილი აქვს სხვა და სხვა საერო და საეკლესიო წიგნები, ხელნაწერები, რომელნიც ამტკიცებენ ჩვენს ძველს კულტურას. აქ მოსე ჯანაშვილი უხვევს სრულებით სამეცნიერო გზას და მოწინააღმდეგების (?) დასამარცხებლად ამბობს: „ზოგიერთნი ჩვენს დიდს მატიანეს „ქართლის ცხოვრებას“ უგულებელ ჰყოფენ, მაგრე რიგად არ ენდობიან, ამიტომაც, მიუხედავად მისი უაღრესი მნიშვნელობისა და ღირებულობისა ჩვენ გვერდს აუხვევთ და სხვა უტყუარ წყაროებს დავემყარებითო“. თუ მ. ჯ. „ქართლის ცხოვრებას“ ეგრე რიგად ფასსა სდებს, მსმენელთათვის პოპულიალურ ლექციისა რა საჭიროა ვიღაც ურწმუნო თომებთან სხვა საბუთებით ბრძოლა. მსმენელს მარტო ობიექტიური სინამდვილე აინტერესებს ამ შემთხვევაში, და არა კამათი. აქედან მოულოდნელად გადადის იმაზე, რომ საქართველო, დაყოფილი სამთავროებათ, ერთიანდება და მყარდება ჩვენში (985 წელს). ერთ-მთავრობა—მეფობა. მოიხსენიებს საქართველოს ამდროინდელ საზღვრებს და დასძენს, რომ ძველ დროში აქ მოსახლეობდნენ თუბალნი, მასოხნი და სხვანი, რომელნიც იგივე ქართველები ყოფილან, რაც დამტკიცებასაც არ თხოულობს, თურმე (?): „მწერალი პეკატე მესხებს კოლხთა ტომად სთვლის; რადგან მესხნი ქართველები არიან, მაშ კოლხნიც სხვა ვინ იქნებიან, თუ არ ქართველნი“. უცებ გამოეკიდება ბრამბეუს და უმტკიცებს, რომ სცდება, როცა „იმერსა“ ტ „ივერსა“ ერთსა და იმავე სახელადა სთვლის (მოჰყავს მრავალი გეოგრაფიული, ფილოლოგიური და სხვა საბუთები). რაკი ბრამბეუსი დაამარცხა (?) 1700-სიან წლების სიგელ-გუჯრებით, როცა ქართლ-კახეთი „იმერეთად“ იწოდება, გადადის ისევ თუბალ მასოხებზედ XI საუკუნეში ქრისტეს წინ და მოიხსენიებს მათ ბრძოლას ასურელ მეფეებთან (ლენორმანი). ასურეთის მეფეების სახელები თიგლატ-ფალასარ, აგონებს ჩვენ ისტორიკოსს, რომ „ფალ“ ქართულ სიტყვებშიაც არის დაცული მაგ. დედოფალ, მამავალ და სხვ. ყველა ეს ცნობა იქნება საინტეოესოა თავის თავად, მაგრამ ისეთივე კავშირი აქვთ ერთი ერთმანეთთან, როგორც რკინასა და რიონსა, რადგან ორთავ სიტყვაში რანი, ნარი და სანია. ამის შემდეგ ჩართულია იოსებ ფლაბიოსის (37—100 წ. ქრ. შ.) სიტყვები, რომ თობელი და ივერი ერთი და იგივეაო. რომ ბერძნულ ლეგენდაში (არგონუტები) კოლხიდის სახელმწიფოს და ავტის შესახებ, არის ცნობები, რომ პომირსი, პინდრი და სხვანი უყურადღებოდ არა სტოვებენ კოლხეთს და სხვა. აქვე ხსნის „ავტის“ სახელის წარმოშობას „აპ“-იდგან, რაც ნიშანავს აფხაზურად „მთაგორს“. აქედგან ერთობა იმით, რომ ამ „აპ“-იდგანვე წარმოსდგება აღ—წინასართავი „სიტყვებისა აღსვლა, აღწევს, აღდგომა და სხვა...

არც აცივა, არც აცხელა და მაშინვე 545 წ. კვირსმა დაიპყრა კოლხიდა და ქალიბნი; ქსენოფონტმა დასწერა „კიროპედია“, საცა ამბობს, რომ კიროსმა ასტიაღი დაამარცხა სხვათა შორის კადუსთა შემწეობით და თეიმურაზ ბატონიშვილს სადღაც ძველ წიგნში წაუკითხია: კაუსნი—იგივე ქართველებიაო. დასკვნა ხომ გესმის მკითხველო? დარიობის სამეფოში მე-18-ე და 19-ე სატრაპიად შედიოდნენ მეხსნი, ივერია, ალბანია, ტიბრენნი, ოკრნი და ბოსინიკები, რომელნიც იხდიდნენ ხარჯს. იგივე (?) მწერლები ამტკიცებენ, რომ საქართველოში სამთავროები დაეცა და გაძლიერდა ივერია, ისე რომ რომის იმპერატორებიც კი თაყვანსა სცემენ მათ მეფეს, მაგალ. ფარსმანს ადრიანემ ბელონის ტაძარში ძეგლიც კი აუგო 138 წ. ქ. შ. (დიონჯასს) და 75 წ. კი რომის იმპერატორმა მეგობრობის **ქვა** დაუწერა ქართველ მეფეს (სტრაბონი). ეს ყველაფერი იმიტომაო, რომ ქართველებზე იყო დამოკიდებული რომის აღმოსავლეთის საზღვრების დაცვაო.

სტრაბონი ამასთანავე აგვიწერს ქართველების ერის წოდებად დაყოფას. „ამ სახით მთავრობა და მეფობა საქართველოში ფაქტია“. მეფეების არსებობას ამტკიცებს (?) ქართული ფულიც და ნამეტნავად თამარ-მეფის წარწერა თავის ფულზედ. აღმაშენებელის ბრძოლაზედ განზაგის ემირთან გვიამბობს დაწვრილებით ასოღიკი და გოთიე. კონსტანტინეპოლის დახსნაზედ სულიარსისაგან ხომ ყველა ისტორიკოსნი შეთანხმებულან და ქართული წარწერაც არის ზარზმის ეკლესიაზე. 13 საუკუნეში მოვიდნენ მონგოლები და მთელი ქვეყანა ააოხრეს, რასაკვირველია საქართველოც, მაგრამ ქართველების ვაჟკაცობას მაინც „დიდი პატივი დასდეს“. აქედან დაწყობილი 19 საუკუნის დასაწყისამდე ქართველები გაძუდძებულ ბოძოლაძი არიან მაჰმადიანობასთან (სპარსოსმალები) და ლელო გაავთ. ამ ბრძოლაში შველოდა შინაგანი კულტურა. „ახტა დახტა და ვაჭრობას დაახტა ქსენოფონტის სახელით (431—454 წ.) ვაჭრობას მოჰყვა ქართველების სიმდიდრე, მადნეულობის დამუ მავება, ტანსაცმელი და იარაღი და სხვა. მერე სავაჭრო გზები და ძათი დანიშნულება. ქალაქები, შემდეგ ხუროთმოძღვრება, სახლები, ეკლესიები და რუქები (ესეც ხუროთმოძღვრებაა?) რუქების კეთება ბერძნებზე ადრე იცოდნენ ქართველებმაო. ფულებზე ძხატვრობიდგან ვიცით ქართველების ტანსაცმელები და სხვა. ცაგარელს ალაბარაკებს ძხატვრობა-მწერლობაზე და სხვა და სხვა ტომთა მიბაძვაზე ამ საგანში. შემდეგ ლაბარაკობს ძხატვრობა-ორნამენტიკაზე და ქართულსაც უპირატესობას აძლევს ყველა სხვასთან ერდარებით (კონდაკოვი, ფერგისონი და სხვა. კონდაკოვის სიტყვებით ეკამათება (?) დიუბოას და ამტკიცებს (უსაბუთოდ), რომ ქართველებს სომხებზე წინა ჰქონდათ ხუროთმოძღვრული ნიმუშებიო. და „ქართველი ხუროთმოძღვრება“ განცალკევებულ დარგს შეადგენს ისტორიაში. ძეტად დაწვრილებით ჩერდება გიორგი მთაწმიდელის სახარებაზე და აგვიწერს ძის სიმშვენიერეს. ამასთან პოკროვსკის იმოწმებს, რომ „იგი“ (სახარება) რუსეთის და ბიზანტიის საეკლესიო ისტორიის შესასწავლად დიდი განძიაო. ბოლოს გვაცნობს შენობის რეცეპტს, დაცულს იაკობ შემოქმედელის (დუმბაძის) ხელნაწერში. ქვაში ალბობდნენ ქერსა და ძეწხის ქერქს და კირს და ქვიშას ამ ნოგბარით ხელავდნენო.

ამ აუარებელი ფაქტიური მასალიდგან იყო შეკოწიწებული „ლექცია“ „ქართ. ისტორიის და ძის წყაროების საზოგადო განხილვა“. მკითხველი მიხვდება, რომ ეს ძასალა, შესაძლებელია კარგი პატრონის ხელში გამოსადეგი იქნებოდა ისტორიისათვის, მაგრამ ამ ალბა-უბდად ნათქვამიდან კი ვერავითარ მთლიანს, ერთიანს დასკვნას, ან აზრს ადამიანი ვერ გამოიყვანს. ამბობენ, რომ მ. ჯ. განუზრახავს ამისთანა 20—30 ლექციის წაკითხვა და კარგი იქნებოდა ის დრო, რომელსაც ამ მასალის შეკრებას უნდება, მოახმაროს ხოლმე მის ნახევარს მაინც, რომ რაიმე გარკვეულ მიზანს მიაღწიოს, თორემ ეს ცნობანი სრულიად გაფანტულად რჩებიან და არავითარ მიმზიდველს სასმენელს არ წარმოადგენდა. მკითხველს აღარ შევაწყენ მეორე ლექციის შინაარსით, ვიტყვი მხოლოდ, რომ იმავე სტილით არის დაწერილი სამართლისა, ქორონიკონისა, კალენდრისა, მკურნალობისა, ჩვეულებათა, სტუმართ-მოყვარეობისა, სუფრულისა, მუსიკისა, ანდაზისა, გამოცანისა... და სხვათა და სხვათა მრავალ გვართა შესახებ.

ყველა ეს არეულ-დარეული ცნობა, იქნება კარგი ყოფილიყო რომელიმე სამეცნიერო ჟურნალში, როგორც ბიბლიოგრაფიული სახელმძღვანელო, მაგრამ სახალხო უნივერსიტეტის დარბაზში, ჰკარგავს ყოველივე აზრს, რადგან არაფერს არ ამტკიცებს, მსმენელს არაფერს არ ასწავლის და მარტო ღალავს. სასურველი იქნებოდა მ. ჯ. მიექცია ყურადღება ლექციების სისტემატიურ მთლიანობისათვის, რაც უფრო საინტერესოც იქნებოდა და მეტ მსმენელსაც მიიზიდავდა.

ღამურა.

ხმა ქიზიყიდან

წინად თუ ქიზიყი გაწთქმული იყო ქონებრივად და მისი მკვიდრნი ეკონომიურ კეთილ-დღეობაში იმყოფებოდნენ, ეხლა იმის ნასახსაც ველარად იპოვნით ბევრიც რომ ეძებოთ. ზედი-ზედ მოუსავლიანმა წელიწადებმა და უზომო გადასახადებმა მიწასთან გაასწორეს, ოდესღაც და მართლაც ქონებრივ ფიტ-მოკრული და ამაყი ქიზიყელი. არ არის არც ერთი დარგი მეურნეობისა, რომელსაც წარმატების ნიშან-წყალი ეტყობოდეს. ან საიდან იქნებიან მეურნეობის დარგნი ჯეროვან ნიადაგზე დაყენებულნი, როდესაც მთელს ქიზიყში ერთი დაბალი სამეურნეო სასწავლებელიც კი არ მოიპოვება, რათა საწარმოვო ძალნი განვითარების გზას დასდგომოდნენ.

ზღვა კოვზით დაილევაო, ნათქვამია, ქიზიყელთა ჯიბეც ილევა, ცარიელდება.

წარსულ კვირას ქიზიყის სოფლის საზოგადოებათა მკვიდრთ გამოეცხადათ რაოდენობა მათზე გაწერილ წლევანდელ სახელმწიფო გადასახადებისა.

მარტო ქვემო-მაჩხაანის საბოქაულოს თხუთმეტ სოფლის საზოგადოებას, (სიღნაღის მაზრის ხუთ საბოქაულოში, 21,517 კომლით, ქვემო-მაჩხაანისა ყველაზე დიდი საბოქაულოა მცხოვრებთა რაოდენობით), რომლის მცხოვრებთა რაოდენობა 1907 წლის აღწერილობით 10,758 კომლს, ან 51,911 სულს უდრის ორთავ სქესისას. ამ მდგომარე წელს შეწერილი აქვს წლევანდელი 154,373 მ. 5 კ., ძველის წლების გადაუხდელი, „ნედოიმკად“ დარჩენილი გადასახადიც 161,832 მანეთი 5 კაპ. სულ 316,705 მანეთი და ორი შაური. ანგარიშით **თითო კომლს** წელიწადში წლიური გადასახადი, ორთა შუა რიცხვით, **თხუთმეტი მანეთი მოსდის, ნედოიმკით** კი **სამი თუმანი.** ეს კომლზე მოდის სამი თუმანი. ამ საერთო კომლთა ჯამს გამოაკლეთ ქვრივ-ობოლნი და უძლურ-ღატაკნი, რომელთაც სოფლის საზოგადოებანი ფულს არ აწერენ, მაშინ კომლზე, ორთა შუა რიცხვით, რვა-ცხრა თუმნამდის მოვა.

ქიზიყელთა ცხოვრება დაღუპვის გზისაკენ მიექანება... ნეტავი საკმაო სახნავ-სათესი, სათიბ-საძოვარი მაძულები მაინც მოეძებნებოდეთ.

აქაძდის თათრების სოფელი **ელდარი** ქვემო-მაჩხაანის საბოქაულოს ეკუთვნოდა და საერთოდ გაწერილ გადასახადთა ჯამში მონაწილეობასაც იღებდა. ამ ბოლო დროს კი ს. ელდარი ადმინისტრატიულად განჯის მაზრას მიაწერეს, მის კუთვნილ გადასახადს კი ქვემო-მაჩხაანის საბოქაულოს მცხოვრებნი იხდიან დაახლოვებით ექვსას-შვიდას თუმნამდე საჭიროა ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს.

ს. ქვემო-მაიხაანში მალე ველირსებით **ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების** გახსნას. აი ტფილისის გუბერნატორს რასა სწერს ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი: „ფოსტა-ტელეგრაფის მთავარმა გამგეობამ მოწერილობით 17 წარსულ იანვრიდან № 2988, ნება დართო გაიხსნას ქვემო-მაჩხაანში 16 იანვრიდან 1913 წლისა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება“.

ადგილობრივ მცხოვრებთ, პიროვნებისაებრ, უნდა ექვს-ოთახიანი, შესაფერისად მოწყობილი შენობა, გათბობა, განათებით და წყალი საძის წლით...

X.

პასუხად

მღ. ეგნატეს მენთეშაშვილს.

„სახალხო გაზეთის 520 №-ში მოთავსებული იყო წერილი მღ. ეგ. მენთეშაშვილისა, რომელმაც გამოაცა. მამა ეგნატეს გაოცებია ჩემგან მიწერილობა მასწ. გ. შავლიაშვილთან, რომელიც სამინისტრო სკოლაში მეორე მასწავლებლად ითვლება. მამა ეგნატე ბრძანებს, ი. მენთეშაშვილი არ დასწრებია სალიტერატურო საღამოსა და არც ნება მიუცია ბავშვებისთვის დასასწრებლადო“, ვითომც წინააღმდეგი ვიყო სალიტერატურო საღამოებისა და სხვა. კიდევ მოგახსენებთ მამაო, რომ არა და არა. სულ ფარულად მოახდინეს ჩემს საწინააღმდეგოდ და ჩემს ჩირქის მოსაცხებლად მღ. ი. მენთეშაშვილმა, მას. ე. შანშიაშვილმა და ჩემდა რწმუნებულ სასწავლებლის 2-რე მასწავლებელმა გენო შავლიაშვილმა. კარგად იცით, მამაო, ეგნატე, რომ ოცდა ათი წელიწადია ძასწავლებლად ვარ და რაც კი ამ ხნის განმავლობაში საქველმოქმედო საზოგადო საკეთილო საქმე გაკეთებულა ყოველ საქმეში მხურვალე მონაწილეობა მიმიღია.

შევეხოთ სალიტერატურო საღამოს. როდესაც სალიტერატურო საღამო ანუ სხვა რამ გასართობები იმართება სასწავლებლის შეწობაში უნდა შესდგეს პროგრამა, გაიგზავნოს სახალხო სკოლების ინსპექტორთან დასამტკიცებლად და ნებართვის ასაღებათ თანახმად ინსპექტორისავე მოწერილობისა.

7 იანვ. 1907 წ. № 25 აეთივე შინაარსის ბრძანებაა სახალხო განათლების მინისტრისაგან 28 აგვისტოს 1911 წელსა.

დიახ, მამაო, უნდა [illegible] ჯერ პირველად ისა, რომ სამრევლო სკოლის გამგე მღ. ი. მენთეშაშვილს და მის მასწ. ე. შანშიაშვილს არა ჰქონდათ უფლება ჩემს დაუკითხავად შეეჭრილიყვნენ ჩემს სასწავლებლის შენობაში. და მეორე ისა, რომ უნდა შეეტყობინებინათ მოგველაპარაკნა, შეგვიდგინა პროგრამა, გაგვეგზავნა ნებართვის ასაღებათ და შეერთებულის ძალით შევსდგომოდით საქმეს, მაგრამ ეს არ ისურვეს ჩემს ფარულად მოაგვარეს საქმე 5 თებერვალს იმ განძრახვით, რომ საზოგადოების წინაშე გაეშავებინათ ჩემი თავი. ამისათვის მივწერე 5 თებერვალს ამა წელს არა დილით, საღამოთი მასწ. ე. შავლიევს, მივწერე იმ განძრახვით კი არა, საღამო ჩამეშალნა, არამედ ჩემი გასამართლებელი საბუთი ჩამეგდო ხელში, რომ უსახელო წერილების ავტორებს. რომელნიც მრავლ არიან ს. ქ. მაჩხანში, საშუალება არ მისცემოდათ ჩემს წინააღმდეგ რომ გაეგზავნათ სადაც ჯერ არს.

სხვათა შორის სწერს მამა ეგნატე: „რამდენჯერმე დააპირეს პასუხი მოეთხოვნათ მასწ. ი. მენთეშაშვილისათვის, ახერხებდა სახლიდამ გასხლტომას, ხან რა მოიმიზეზა და ხან რაო“. აქ არა რაიმე მიზეზი და გასხლტომა არა ყოფილა რა და არც გასახლტომა მიფიქრია. მიზეზი ის იყო, რომ ჩემი მოწინააღმდეგენი ერთის ძალ-ღონით ყოველსავე მოგართულ ბასრ მახვილებით აღჭურვილნი მიწვევდნენ საქიდაოთ მოედანზე და გამშველებელი კი არავინა სჩანდა. აი ამისათვის არ გავედი მებრძოლთა წინაშე.

რაც შეეხება სამედიატორო სამართალს ვეთანხმები მღ. ეგ. მენთეშაშვილს და ვირჩევ ჩემის მხრით მედიატორეებად სიღნაღის სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორს ნ. ძიძიკაშვილს და ბლაღოჩინს კირილე ღვთისავარიშვილს. მედიატორეთ კრებები მოა ხდინონ ქ. სიღნაღში.

ქვემ. მაჩხაანის სამინისტრო სკოლის გამგე მასწავლებელი.

ილიკო მენთეშაშვილი.

ბიბლიოგრაფია

სვიმონ ქვარიანი.—ქართველი ერის ტრაგედია მე-17 საუკუნეში (გიორგი საკაძე და მისი დრო) გ. საკაძის სურათით, ქუთაისი 1912 წ. გამოცემა რ. დათეშიძისა—135 გვფასი 40 კ.

ქართველი ერის ტრაგიზმის ისტორიას მე-17 საუკუნის დასაწყისში დიდ შთაბეჭდილებას აძლევს და საყურადღებოდ ხდის სახელოვანი გმირის გიორგი საკაძის ცხოვრება და პიროვნება, რაც ბურუსით არის მოცული და საკმაოდ ცხადად არ არის გადმოცემული. ეს საარაკო და თავგანწირული პირი ხან საქართველოს დასტრიალებს თავს, ხან სპარსეთის სამხედრო საქმეებს განაგებს და ხან ოსმალეთს ეხმარება ომში. მთელ მეოთხედ საუკუნის განმავლობაში ყველგან სახელს იხვეჭს და ყველას აოცებს მოხერხებულის მოქმედებით; ბოლოს კი მაინც, ღალატის გამო საქართველოდან დევნილი, ოსმალეთში ღალატით კვდება.

აი ამ პიროვნების გაცნობა და მაშინდელი დროის ქართველი ერის ტანჯვა-წამების ისტორიის დასურათება დაუსახავს მიზნად ავტორს. სცდილობს ჩამოაშოროს გმირის სახელს საშინელი ჩირქი, რომელიც მოეცხო მას მაშინ ბოროტი ენების წყალობით. ავტორი ხელოვნურად აგვიწერს მაშინდელ სურათს და, რათა მიიზიდოს მკითხველის ყურადღება, ლირიზმით გადმოგვცემს ისტორიულ ფაქტებს.

ეს წიგნი გააცნობს მკითხველებს იმ საშინელ ეპოქის ისტორიულ პირების და მათ თავგანწირულებას, რომელნიც საქართველოს კეთილდღეობისთვის სიცოცხლეს სწირავენ.

შინაარსი, წიგნისა გვიჩვენებს, თუ რას ნიშნავს სამშობლოს სიყვარული და როგორ უნდა უყვარდეს იგი ყოველ მოქალაქეს. აგვიწერს, აგრედვე, როგორ კვდებოდნენ ძველად სახელოვანი ადამიანები სამშობლოს გულისათვის.

მოგვითხრობს ღვაწლს დიდებული გმირისას და აგვიწერს ქართველი ერის სულისკვეთებას და სამშობლოსათვის თავდადებულობას.

ამ გვარად ავტორი შეძლებისამებრ ნათელსა ჰფენს საკაძის ხანას და იმის პიროვნებას, თუმცა ზოგიერთ მკითხველს არ შეიძლება

ექვი არ დაებადოს გმირის ცბიერებაზე.

წიგნი დაწერილია გასაგები ხალხურის ენით, დალაგებით, და დაბეჭდილია საშუალო ღირსების ქაღალდზე საკმაოდ მსხვილი ასოებით. გამოსადეგია ჭ სასარგებლოა, როგორც სახალხო წიგნთსაცავ-სამკითხველოებისთვის, აგრედვე მოსწავლე ახალგაზდობისათვის. დიდი მოურავის სურათი გადიდებულია კარგად და წიგნი გამოცემულია სუფთად, რისთვისაც მადლობის ღირსია გამომცემელიც ბ. დათეშიძე.

ლადო ბზვანელი.

წარჩინებული პროვოკატორი.

ბ-ნ სტეკლოვს ჟურნ. „სოვრემენნი მირის“ მარტის ნომრისათვის დაუმზადებია ისტორია პროვოკაციისა. სტეკლოვის წერილში ბევრი საგულისხმო რამ არის. ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ პროვოკაციას ზოგჯერ ხელს უწყობდნენ ისეთი წარჩინებული პირნი, როგორც მაგალითად ბისმარკი, კლემანსო, ფრეისენი და სხვანი. განსაკუთრებით საყურადღებოა, თუ რაღაირად შეუწყო ხელი ბისმარკმა მეფე ალექსანდრე II მოკვლას, როდესაც მეფე პარიზში იყო. ალექსანდრე II და პრუსიის მეფე ვილჰელმი პარიზში მსოფლიო გამოფენის დასათვალიერებლად ჩასულან, 1867 წელს. პრუსიის საიდუმლო პოლიციის უფროსს, რომელიც მაშინ პარიზში ჩაჰყოლია ვილჰელმსა, გაეგო: ერთ ახალგაზდა პოლონელ მუშას ბერეზოვსკის ჰსურს რუსეთის იმპერატორი მოჰკლას და ამნაირად პროტესტი განაცხადოს მურავიოვის და საზოგადოდ რუსეთის სასტიკობის წინააღმდეგ პოლონეთშიო. შტრიბერს გაუგია თუ არა ეს ამბავი, მოუნდომებია პარიზის პრეფექტისათვის ეცნობებინა. მაგრამ პრეფექტი პიეტრი შინ არ დაჰხვედრია და ბისმარკისათვის მოუხსენებია. ბისმარკს რო მოუსმენია შტრიბერის ნათქვამი, უფიქრია: თუ რუსეთსა და საფრანგეთს უთანხმოება მოუვათ, მით უკეთესი, რადგან პრუსია საფრანგეთთან საომრად ემზადებოდა მაშინ. ამიტომ ბისმარკს შტრიბერისათვის უთქვამს: შენი საქმე არ არის, საქმეში ნუ ჩაერევი, დაე განზრახვა ასრულდესო. ამნაირად, პრეფექტს პიეტრს ამ ამბისა არაფერი გაუგია და ბერეზოვსკიმაც. იმპერატორს ესროლა რევოლვერი. იმპერატორი ალექსანდრე მეორე, ძალიან ნაწყენი წამოსულა პარიზიდან და ბისმარკს საწადელი აუსრულდა: საფრანგეთისა და რუსეთის მთავრობა ერთმანეთს დაჰშორდა.

შემდეგ საფრანგეთის მთავრობას ბევრი ენერგია დასჭირდა რუსეთ-საფრანგეთის კავშირის დასამკირებლად

საფრანგეთის მთავრობის ნებართვით რუსის მთავრობამ პარიზში თავისი საიდუმლო პოლიცია გაიჩინა, და ოთხმოციან წლებში, საფრანგეთის კანონების წინააღმდეგ, დაეპატიმრეს რუსის რევოლუციონერი გარტმანი. როდესაც პარიზში რუსის ანარქისტები დაეპატიმრეს, იმპერატორმა ალექსანდრე მე-3 სთქვა თურმე: აი, ეხლა კი მართლა ჰყავს საფრანგეთს მთავრობაო“.

რა გასაკვირველია, თუ რუსის მინისტრები დასავლეთის მოძმეებს ჰბაძავენ და პროვოკაციას ფართო გზას აძლევენ („რეჩ“).

რუსეთი, ოსმალეთი და იტალია

ხმები საერთაშორისო მდგომარეობის გამწვავების შესახებ ნელნელა მისწყდა. როგორც ამბობენ, ევროპის დიპლომატიას დაუჯერებია იტალია, დროებით გადასდოს ომის გადატანა დარდანელში.

ოსმალეთს, როგორც ხმა დადის, თანხმობა განუცხადებია ურმიიდან ჯარი გაიყვანოს. ამ რიგად რუსეთსა და ოსმალეთს შორის კონფლიქტი მოსალოდნელი აღარ არის.

პარიზიდან „რუს. სლ. ატყობინებენ, რუსეთმა საომარი სამზადისი ოსმალეთის საზღვარზე შეაჩერა, რადგანაც საქმის მდგომარეობამ სრულიად სხვანაირი მიმართულება მიიღო. ევროპის სახელმწიფოებმა ჯერ იტალიას შეატყობინეს, სასურველი არ იქნება, თუ ომს ზღვაზე გადაიტანს, მერე კი რუსეთს შეატყობინეს, კარგს იზამ, თუ საქმეს არ გაამწვავებ და სახელმწიფოებს ექვს არ დაუბადავ, რომ იტალიასთან ერთად გინდა ოსმალეთის წინააღმდეგ მოქმედებაო. იმპერატორმა ვილჰელმაც ასეთისავე მეგობრულ რჩევით მიჰმართა რუსეთის მთავრობას.

ოსმალეთის პრესა, ჩარიკოვის გადაყენების შემდეგ, უფრო მშვიდობიან კილოთი სწერს.

ჩინეთის რესპუბლიკა

დეპეშები.

მუკდენი ხუნხუზების ბრბომ დაიპყრო ქალაქი კუსპინსიანი, მოჰკლეს მაზრის უფროსი, დაარბიეს მართველობის დაწესებულებანი. ქალაქის გასანთავისუფლებლად აქედან კავალერიის ბატალიონი იგზავნება.

ბერლინი რეიხსტაგის საბიუჯეტო კომისიაში გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი ჩინეთის ამბებს შეეხო. მან სთქვა: გერმანიის მთავრობა სხვა ქვეყნების მმართველობასთან ერთად ჩინეთის საქმეებში ჩარევის წინააღმდეგია. თუ საჭირო იქნება შეთანხმებული გალაშქრება, ვეცდებით, რომ ჩინეთის მთლიანობა დაცულ იქმნესო.

ტოკიო. შინაგან საქმეთა მინისტრის პალატისადმი საპასუხო სიტყვაში ნათქვამია: სამხრეთ მანჯურიაში იაპონიას თვისი განსაკუთრებული ინტერესები აქვს, ისე როგორც რუსეთს ჩრდილოეთ მანჯურიაში. ამიტომ იაპონიის მთავრობა მუდამ უზიარებს თვის მოსაზრებას რუსეთს თვისი ინტერესების დასაცავად.

გაფიცვები.

დეპეშები

ლონდონი. მაღაროს მუშათა კავშირმა დაადგინა, სანამ საოლქო კომიტეტები განსაზღვრავენ ხელფასის მინიმუმს, კენჭის ყრით გამოვარკვიოთ მუშაობის განახლების საკითხი.

პრაგა. ჩრდილოეთ ჩეხიაში თითქმის ყველგან შესწყვიტეს მუშაობა. გაფიცულია 30,000 კაცი.

საზოგმდოებათა პალატა. უნიონისტმა ლონგმა ხელფასის მინიმუმის ბილოს განხილვის გადაღება მოითხოვა. ამ დროს მოვიდა ასკვიტი და განაცხადა: მთავრობა თვის ძველ დადგენილებას ადგია, ბილში ციფრებით არა აღნიშნოს რა; უმჯობესია თითო ოლქში კერძოდ დაწესოს ხელფასის მინიმუმი. პალატამ უარჰყო მუშათა პარტიის წინადადება ხელფასის 5 შილინგის დაწესებისა. მაღაროს მუშათა და პატრონების თათბირი გარეშე საქმეთა სამინისტროში სულ ხუთი წუთი გაგრძელდა. შოტლანდიელმა მუშებმა დიდებისათვის 5 შილინგი და 9 პენსი მოითხოვეს, ხოლო მცირე-წლოვანთათვის 3 შილინგი. მაღაროს მუშებმა თათბირი მიატოვეს.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. 213 ხმით წინააღმდეგ 48, მიიღეს ხელფასის ბილი. მუშათა პარტია ბილის წინააღმდეგი იყო. მუშათა პარტიის წევრმა მაკდონალდმა განაცხადა, ხელფასის მინიმუმად 5 შილინგი რომ დაგენიშნათ, გაფიცვას ბოლო მოეღებოდაო. ლოიდ-ჯორჯი აფრთხილებდა მუშათა პარტიას, სერიოზულ მოვალეობას კისრულობთ, როდესაც ბილს უარჰყოფთო.

არეულობა სპარსეთში

დეპეშები

ქოი კაპიტან კისლის, რომელსაც ხუთი მხლებელი ჰყავდა, სოფ. აქიანთან ქურთებს სროლა აუტეხიათ, მაგრამ ვერაფერს გამხდარან.

ოსმალეთ-იტალიის ომი

დეპეშები

სტამბოლი. პორტა უარჰყოფს იმ ამბავს, ვითომც დარდანელთან იტალიის ფლოტი გამოჩენილიყოს. პორტას ცნობით იტალიის მხოლოდ რამდენიმე კიპრს მიმავალი გემი უნახავს.

რომი. ვენეციაში იტალიის მეფე და გერმანიის იმპერატორი ერთმანეთს შეხვდებიან. ამბობენ, სალაპარაკო თემა ოსმალეთ-იტალიის ომი იქნება. ამბობენ, აღდგომამდე არამც თუ არ გათავდება ომი, უფრო გამწვავდებაო. იტალიის ფლოტი ამ ახლო ხანში ოსმალეთის ნაპირებთან დაიწყებს მოქმედებას.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ.

15 მარტი

იაპონიის ვითარება.

ტოკიო. ზემო პალატამ უარჰყო ახალი საარჩევნო კანონი, რომელიც დეპუტატების რიცხვს ამრავლებდა. ამბობენ, ეს პროტესტია მთავრობის პარტიულობის წინააღმდეგაო, პალატათა უთანხმოებამ ლაპარაკი ჩამოაგდო პერების უფლებათა შეზღუდვაზე. „ასახი სიმბუნი“ ამბობს, იაპონიას ჩინეთის სესხში მონაწილეობისათვის ფული არა აქვს და ინგლისსა, ან საფრანგეთში უნდა ისესხოსო. „ძიძი-სიმპოს“ აზრით, საჭიროა საკომერციო აგენტების დანიშვნა რუსეთსა, საფრანგეთსა და იტალიაში, რადგანაც იაპონიისათვის მათ დიდი საღებმიცემო მნიშვნელობა ექნებათ, სხვა ქვეყნები კი თითქმის შესწავლილი გვაქვსო.

ნიუ-იორკი. ნიუ-იორკის შტატში ნაციონალურ კონვენტის დელეგატები აირჩიეს. ყველა ოლქებში ტაფტის მომხრენი აღმოჩნდნენ არჩეულნი. რუზველტის მომხრეთა რიცხვი უმნიშვნელოა

რუსეთი

გოლოლობოვის საჩივარი

პეტერბურგი. უმაღლესად დამტკიცებულ მინისტრთა საბჭოს დებულებით, გოლოლობოვისა და ობრაზცოვის საჩივარი სათათბიროს 34 დეპუტატზე სახელმწიფო საბჭოს პირველ დეპარტამენტს გარდაეცემა.

გაზეთის დაჯარიმება.

„უტრო როსიის“ რედაქტორი 500 მანეთით დააჯარიმეს გაზეთში მოთავსებულ შენიშვნისათვის. „ბედნიერი წუთები შალიაპინის ცხოვრებაში“.

თეატრი და ხელოვნება

ჭიათურა. ადგილობრივ თეატრში 11-ს ამა თვესა დაიდგა „ივანობის ღამე“ პიესა ზუდერმანისა საბენეფიროდ ქალ. ლოლუასი.

ახალია ეს პიესა აქაურ საზოგადოებისათვის; და რამდენად თვით პიესა კარგია, იმდენად თარგმანი უღირსია.

თვით პიესა ძნელი და რთულია და როლიც მარიკე მობენეფისესთვის მეტად სამძიმოა, მაგრამ... მაგრამ ის, რომ აქაც რეჟისორის დახელოვნებულმა ხელმა გაიტანა თავისი და პიესამ, თავიდან ბოლომდე, სულშთაბერილი, სიცოცხლით გაღვივებულმა ჩაიარა.

მობენეფისე ქ. ლოლუა მარიკეს როლს კარგად ასრულებდა; ყოველი ნაბიჯი, ყოველი მისი მოძრაობა, წინდაწინვე აღნიშნული, რაც შეეფერებოდა მარიკეს გარეგნულ მოქმედებას უნაკლულოდ გადმოგვცა; ხოლო აკლდა ადგილ-ადგილ სახის მეტყველება გულისა და სულის ვითარებისა; მაგრამ ეს ხომ ზოგიერთ უფრო დახელოვნებულ მსახიობებსაც უჭირთ.

საუცხოო იყო მაწანწალა-ქურდი მასთან დედის როლში ქ. ჯავახიშვილი. განსაკუთრებით შეუდარებელი იყო გამომეტყველებით: როდესაც ქალი მარიკე შენიშნავს ქურდობას; ან კიდევ, როცა ოქროს აძლევენ და მის ნაცვლად კი უნდა დასტოვოს სპეტაკ ტილოს თეთრეული, რომელიც მოპარული უდევს აბგაში; აქ მისი სახე ნათლად გვიხატავდა სირცხვილს, ხოლო ძლეულს დაუთმებლობით ძვირფას თეთრეულისას.

არა უშავდათრა, ხელს უწყობდნენ პიესის მსვლელობას: ქ. კაკაბაძე დედის როლში, ხოლო მის ქალის მიამიტ ტრუდს ქ. შოთაძე და მსახურის ქ. სიხარულიძე.

კარგი იყო ბ. გვარაძე, ხოლო აკლდა ადგილ-ადგილ სახით გამოხატვა გიორგის პიროვნების სულის სიძლიერისა.

აგრედვე კარგი იყო ქ. ნუცუბიძე მკაცრ და თან გულკეთილ ფონპენრეიტერის როლში.

ბ. შალიკაშვილმა ნათლად გარდმოქმეა გულმხურვალე, ხოლო გარეგნულად ცივი პასტორი გავკე.

მობენეფისეს რამდენჯერმე გამოუძახეს და რამდენიმე ნივთით დაასაჩუქრეს.

დრამატიულ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ მესამე მოქმედების შემდეგ გამგეობის სახელით მიართვა მობენეფისეს ვეფხვის ტყაოსანი და მიმართა: „სიყვარული და შრომა... აი, რა აწერია იმ მოძზედ, რომელიც ჩადგმულია გზაზედ მიმავალ ხელოვნებითი ტაძრისაკენა. თქვენ უკვე ადგეხართ ამა გზასა... მაშ, გისურვებთ გამარჯვებას, რათა მიაღწიოთ ამ ხელოვნებითი ტაძარსა“.

საზოგადოება კმაყოფილი და მადლიერი დაბრუნდა.

წარმოდგენები დღესასწაულებისა გამო შეჩერებულია კვირაცხოვლობის კვირამდე.

ადგილობრივ დრამატიულ საზოგადოების საზოგადო კრება დანიშნულია 7-ს აპრილს, შაბათს საღამოს ექვს საათზე, განსახილველად წლიურ ანგარიშისა და გამგეთა არჩევნებისათვისა.

მიხა.

წერილი რედ. მიმართ

დიდად პატივცემულო ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენ პატივცემულს გაზეთში ადგილი დაუთმოთ და მახლობელს ნომერში დაბეჭდოთ ანგარიში საქველმოქმედო საღამოსი, რომელიც ქალაქ სიღნაღში იყო გამართული 4 თებერვალს 1912 წელს სიღნაღის სამოქალაქო სასწავლებლის და სამრევლო სკოლის სასარგებლოდ.

შემოსავალი: ბილეთები გაიყიდა 342 მანეთისა, ბუფეტისა და ვახშმის შემოსავალი 135 მან. 5 კ.; ლოტოდან, ქალალდის თამაშობიდან (კარტი), ფოჩტა, ყვავილები და კონფეტიდან შემოსავალი 96 მან. 62 კაპ.; ფულად შემოწირული 15 მან. 50 კაპ. სულ შემოსავალი იყო 589 მან. და 17 კაპ.

გასავალი: ბილეთების და აფიშების დაბეჭდვა და მარკები 31 მან. 95 კაპ. ბუფეტის და ვახშმის გამართვა 109 მანეთი. სამხედრო მუსიკის თუქურმიშიდან*) მოყვანა, მათთვის სახარჯო და საჩუქარი 55 მან. 45 კ. კოტიღლონისათვის ნიშნები, ყვავილები და სხვა და სხვა გასართობი სათამაშოების გამართვა 27 მან. 34 კ. ალაგება, მორთვა სახლისა, რომელშიაც გაიმართა საღამო და მოსამსახურეებს 37 მან. 13 კაპ. სულ ხარჯი 259 მან. 47 კაპ. წმინდა შემოსავალი დარჩა 329 მან. 70 კაპ. მოვალეთა ვსთვლი ჩემს თავს უღრმესი მადლობა გამოუცხადო ყველა იმას, ვინც არ დაზოგეს შრომა და თავიანთი მონაწილეობით საღამოს გამართვას ხელი შეუწყეს. დიდ მადლობას ვწირავ ტვერის დრაგუნის პოლკს რომელმაც უსასყიდლოდ სამხედრო მუსიკა დაგვითმო და აგრეთვე ყველა მათ ვინც მატერიალური შემწეობა აღმოუჩინა საღამოს სანოვაგისა, ღვინისა და ფულის შემოწირულობით.

საღამოს გამგე მარიამ ზაქარიას ასული

თ-დ ჯანდიერისა.

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ წერილს თქვენი გაზეთის უმახლობელესს №-ში და მით შეძლება მომცეთ გავასწორო შემდეგი უნებლიეთი შეცდომა: სახალხო გაზეთის № 547 მოთავსებულ ანგარიშში ოზურგეთში 26 თებერვალს გამართულ საღამოს მოწყობაში მონაწილეთა შორის **გადაწერის დროს** გამორჩენილან შემდეგი პირები: პ. კიკვაძისა, ოლ. კობალაძე, ან. მგელაძე ოლ. ქუთათელაძე და თ. გოგიტიძე: ვ. ხუნდაძის მონდობილობით გადამწერი: **ლეო იმნაძის.**

*) დდოფლის წყარო.

ჩვენი ფოსტა

ს. კარდანახში კნეინა ელენე გიორგის ასულ ვაჩნაძისას: თქვენი წერილი, ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, ვერ დაიბეჭდება. საკმარისი იქნება თქვენი აზრი პირადად გაუზიაროთ კარდანახის საბიბლიოთეკო კომისიას.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსაღები ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

ზამთრობით (15 ოქტომბრიდან 1911 წ.)

(დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

ტფილისიდან გადის.

ბათუმისაკენ: 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—III კლ., ყდ. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დღ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—III კლ. ყდ. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 13 წ.

ბაქოსაკენ: 1) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარაში ღამ. 11 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ. № 6, I—II კლ. დდ. 3 ს 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარაში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. 11 წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—II კლ. ღამ. 11 ს. 18 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარაში დდ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარაში დილ. 5 ს. 18 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

ბორჯომისაკენ: 1) სამგზ. მატარებ. № 9/6, I—III კლ, დდ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

ჯულფასა და ერევნისაკენ: 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. ყდ. 1 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის საღ. 11 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დდ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

ტფილისში მოდის.

ბათომიდან: 1) სამგზ. № 6, I—III კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, I—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

ბაქოდან: 1) სამგზ. № 5, I—III კლას. ყდ. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № 1, I—III კლ. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 07, IV—III კლ. ღამის 9 ს.

ერევან-ჯულფიდან: საფოსტო მატ. № 72/73, I—II კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დდ. 1 ს. 40 წ.

ბორჯომიდან: სამგზ. № 61/ 0, I—II კლ. დილ. 8 ს.

შენიშვნები: 1 გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის I და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებით).

უფასო სამედიცინო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები	
1—2	**გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4	**მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6	**ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ, 680).
6—7	**შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).
8—9	**ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12	**ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 715)

გემების მიმოსვლა შავ-ზღვაზე.

(ზამთარში).

რუსეთის საზოგადოებისა.

ბათომიდან გადის: ოდესისაკენ პირველი—საფოსტო-სახალხო გემი სამშაბათობით ღამის 1 საათს, ყველა ზღვის პირა ქალაქს გაივლის. მეორეც—ხუთშაბათობით, ღამის 1 საათს. პირ და პირ—სოხუმით, გაგრათი, სოჭით, ტუაფსეთი, ნოვოროსიისკითფეოდოსიით, იალტათი, სევასტოპოლითა და ევპატორიით შაბათობით, შუადამეს.

სახალხო გემები ყველა ზღვის-პირა ქალაქებზე ორშაბათობით და სამშაბათობით ნაშუადღევის 2 საათს.

სახალხო-საქონლის გემები — ესენიც ყველა ქალაქისკენ გაეკლიან ოთხშაბათობით და პარაკსეობით შუადამეს.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

—::—

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტი შესახვ. 5. ტელ. 487).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტაროო წესიერების შემოღებაში და **სა**დაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტაროო მოთხოვნილებათა არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

განცხადებანი

ერთადერთი საღებავი

ბალბაგანისა

კაკლის ექსტრაკტისა

თმას სწრაფად და საფუძვლიანად ჰღებავს, სურვილისამებრ ნაზ-ჭარა ფერად, თუ კუმტშავად თავდებნი ვართ, რომ უვნებელია.

პარფ. № 4711. **თევდ. მიულგანსი**

მის იმპ. უდ. სრულ. რუს. იმპ. სასახლის იჯარადარი **კოლნი**

დარ●ბრიგა.

დაარს. 1792 წ.

ფასი ფლაკონისა 1 მან. 20 კაპ. ფიდი ფლაკ. 2 მან. № 28830. (8—1060—7)

ექიმ ნავასარდიანის

პირველი პერძო

სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე

გარდა კვირისა.

დ ი ლ ი თ:

„606“ — 11—12 ს. შეუხაკუნება

კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. ბგასაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამირუმოვა-მელიქიანი** —2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ; კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ. 2074.37)

ფეხსაცმელები

თოდა დ. ჯანუარაშვილის

მაღაზია-სახელოსნოში.

იყიდება ყოველნაირი ფეხსაცმელი ქალისა, კაცისა და ბავშვისა, აგრეთვე ვიღებთ შემოკვეთიდაც, ვამზადებთ საუკეთესო მასალისაგან ზომიერ ფასებში და ვასრულებთ პირნათლად. ადრესი: მუხრანის ქ., № 2.

(25—285—7)

დამყნილ ამერიკულ ვაზის სანერგე

სადგურ გომთან ს. წრომში, სადგურიდან 2 ვერს.

„ზიორგის ზრომა“

სანერგეს აქვს დამზადებული დიდძალი დამყნილი ამერიკული ფაფუსებული ვაზი, სხ. და სხ. ჯიშისა. 1) ნამყნი ამერ. ვაზისა, კახური, ქართლ. და ევროპ. ჯიშებისა—ფასი 100—5—7 მან. 2) ამერიკ. ვაზი ფაფუსვ. 1000—6—10 მან. 3) სალობავი ეკალი (ტლეფიჩია) 100—3—6 მან. დაწვრილ. ცნობ. მიმართეთ: **სადგ. გომი** ამიერ კავკ. რკ. გზა) **გიორ. ბეჟან. ტატიშვილს.** (თ.—1145—7).

თევზით ვაჭრობა

სპირიდონ ლავრენტის

ძე ხუროშვილისა

სალდ. ბაზარში. ყოველთვის იშოვება ჩვენს მაღაზიაში და საწყობში **ახალ-ახალი ორაგული,** ზუთხი, თირთი, ლოქო, კეფალია ტაბაკა თევზი—(ცაშული) ფარგა, კომრის (გოჯა) და სხვანი.

— **მუდამ იშოვება** —

ხიზილალა ავირითი, წოთელი ხიზილალა, ბოჩკის ხიზილალა, გრუნტა მ. 40 კ. ლიტრისა და ადგილობრივი.

— **დ ო ზ ი** —

ზურგიელი ცოცხალი თევზი: ლოქო, მურწა, ციხული და სხვანი.

ტფილისი,

ტელეფ. № 496. (10—1156—3)

ყოველ-დღე

მოგვდის:

ახალ-ახალი წითელი ხიზილალა, ზუთხი, თირთი, ლოქო, ფარგა, კომარი, სალიანის თევზეულობა შამაია და ყოველ-გვარი გამოსული თევზი

(წ.—1131—16)

თევზის მრეწველნი

ძმ. ძეგველოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.

ტელეფონი № 712.